

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მედიცინის ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამა „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“

ზვიად კერესელიძე

კარვედილოლის როლი რეზისტენტული და არაკონტროლირებული
არტერიული ჰიპერტენზიის დროს

მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი
დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
თსუ შინაგან დაავადებათა კათედრის
პროფესორი ვახტანგ ჭუმბურიძე

თბილისი

2025

რეზისტენტული არტერიული ჰიპერტენზიის მკურნალობაში ბეტა-ბლოკერების გამოყენება ჯერ კიდევ არასაკმარისადაა შესწავლილი. მიუხედავად იმისა, რომ PATHWAY-2 კვლევამ აჩვენა ბისოპროლოლის დადებითი ეფექტი სისტოლურ არტერიულ წნევაზე, საჭიროა შემდგომი კვლევები სხვა ბეტა-ბლოკატორების შესაფასებლად სისტოლურ და დიასტოლურ არტერიულ წნევაზე მათი ზემოქმედების თვალსაზრისით, ასევე პაციენტებში, რომლებაც აღენიშნებათ კალციუმის არხების ბლოკატორების (CCB) მიმართ აუტანლობა.

ჩვენი კვლევის მიზანი იყო კარვედილოლის (არასელექტიური ბეტა-ბლოკატორი ალფა-1 ბლოკირების ფუნქციით) ეფექტურობის შეფასება სამიზნე არტერიული წნევის მიღწევის შესაძლებლობაში რეზისტენტული ჰიპერტენზიის დროს, მათ შორის კალციუმის არხების ბლოკატორების მიმართ აუტანლობის მქონე პაციენტებში. კვლევამ შეადარა კარვედილოლის ეფექტურობა ორ ძირითად ჯგუფში: პაციენტები, რომლებსაც ემატებოდა კარვედილოლი და პაციენტები, რომლებიც სხვა ბეტა-ბლოკატორიდან, კერძოდ ბისოპროლოლიდან გადავიდნენ კარვედილოლზე. პაციენტები რანდომიზებულად გადანაწილდნენ ორ ჯგუფში: ჯგუფი-1: "კარვედილოლის დამატება" (პაციენტები, რომლებიც არ იღებენ ბეტა-ბლოკერის ჯგუფის მედიკამენტებს, თუმცა იმყოფებოდნენ სამმაგ თერაპიაზე: რენინ-ანგიოტენზინის სისტემის ინჰიბიტორს, კალციუმის არხების ბლოკერს და თიაზიდურ/თიაზიდის მსგავს დიურეტიკს) და ჯგუფი-2: "კარვედილოლზე გადასვლა" (პაციენტები, რომლებსაც ჰქონდათ კალციუმის არხებზე აუტანლობა, რომლებიც იღებდნენ სამმაგ კომბინაციას: რენინ-ანგიოტენზინის სისტემის ინჰიბიტორს, თიაზიდურ/თიაზიდის მსგავს დიურეტიკს და ბეტა-ბლოკერს-ბისოპროლოლს, აღნიშნული ჯგუფში ხდებოდა პაციენტების ბისოპროლოლიდან კარვედილოლზე გადაყვანა). პირველადი საბოლოო წერტილი იყო სისტოლური (SBP) და დიასტოლური (DBP) არტერიული წნევის ცვლილება საწყისიდან კვლევის დასრულებამდე. მეორადი საბოლოო წერტილები მოიცავდა კარვედილოლის მიღების დაწყებიდან 6 კვირის შემდეგ, საშუალო სისტოლური არტერიული წნევა და გულისცემის სიხშირე ქვეჯგუფებში, სქესის და გლიკემიური პროფილის დარღვევის მიხედვით, ასევე უსაფრთხოების პარამეტრებს (ჰიპოტენზია, ბრადიკარდია).

კვლევის შედეგებმა აჩვენა SBP და DBP მნიშვნელოვანი შემცირება ორივე სამკურნალო ჯგუფში, მათ შორის რეზისტენტული ჰიპერტენზიის მქონე პაციენტებში (RAS ინჰიბიტორებზე, CCB-ებზე და დიურეტიკებზე), მათ შორის CCB აუტანლობის მქონე პაციენტებში.

კარვედილოლი კარგად გადაიტანებოდა, არ იყო შეტყობინებული მნიშვნელოვანი გვერდითი მოვლენების შესახებ.

ეს კვლევა იძლევა მტკიცებულებებს, რომლებიც მხარს უჭერს კარვედილოლის გამოყენებას რეზისტენტული ჰიპერტენზიის მქონე პაციენტებში, მათ შორის CCB-ების მიმართ აუტანლობის მქონე პაციენტებში.

The use of beta-blockers in treating resistant hypertension remains poorly understood. While PATHWAY-2 showed a systolic blood pressure benefit with bisoprolol, further research is needed to evaluate other beta-blockers in terms of the effect of systolic blood pressure, assess diastolic blood pressure effects, and guide management in patients intolerant to CCBs as well.

Our study was designed to evaluate the efficacy of carvedilol (a non-selective beta-blocker with alpha-1 blocking function) in achieving target blood pressure in the treatment of resistant hypertension, including in patients intolerant to calcium channel blockers. The study compared the efficacy of carvedilol in two groups: patients newly initiated on carvedilol and patients switched from another beta-blocker to carvedilol.

We create two groups: 1. Add Carvedilol group (when add Carvedilol in beta blocker naïve patients with resistant hypertension, PATHWAY 2 like patients with triple therapy of CCB, RAAS inhibitor and diuretic) and 2. Switch to Carvedilol group (CCB intolerant patients with RAS inhibitor, diuretic and beta blocker, when beta blocker bisoprolol is replaced with carvedilol). The primary endpoint was the change in systolic (SBP) and diastolic (DBP) blood pressure from baseline to the end of the study. Secondary endpoints included the average home systolic blood pressure and heart rate at week 6 after the introduction of carvedilol in the subgroups by sex and by impairment of the glycemic profile, also safety parameters (hypotension, bradycardia).

The study results demonstrated significant reductions in both SBP and DBP in both treatment groups, including those with group 1 - Add Carvedilol (on RAS inhibitors, CCBs, and diuretics) and those with group 2 - Switch to Carvedilol (those with CCB intolerance, on RAS inhibitor, diuretic, and beta blocker-Bisoprolol). Carvedilol was well-tolerated, with no significant adverse events reported.

This study provides evidence supporting the use of carvedilol in patients with resistant hypertension, including those intolerant to CCBs.

აბსტრაქტი	I-II
Abstract.....	III
აბრევიატურების ჩამონათვალი.....	V-VI
ცხრილების, გრაფიკებისა და სხვა ილუსტრაციების ჩამონათვალი.....	VII
1. შესავალი.....	1
1.1. საკვლევი თემის აქტუალობა.....	1
1.2. კვლევის მიზანი და ამოცანები, ჰიპოთეზა.....	3
1.3. კვლევის მნიშვნელობა, სიახლე.....	5
2. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა.....	6
2.1. არტიკული ჰიპერტენზია: ჯანდაცვის სისტემის მძიმე ტვირთი.....	6
3. კვლევის მეთოდოლოგია.....	15
3.1. კვლევის დიზაინი, მასალა და მეთოდები.....	15
3.2. კვლევის ეთიკური საკითხები.....	19
3.3. სტატისტიკური ანალიზი.....	19
4. კვლევის შედეგები.....	20
5. მიღებული შედეგების განხილვა.....	22
6. დასკვნები და რეკომენდაციები.....	33
6.1. დასკვნები.....	33
6.2. რეკომენდაციები.....	34
7. ბიბლიოგრაფია.....	35
8. გამოქვეყნებული ნაშრომების სია.....	46
9. დანართები.....	47-54

■ აბრევიატურების ჩამონათვალი

CCB - კალციუმის არხების
ბლოკერები

SBP - სისტოლური არტერიული წნევა

DBP - დიასტოლური არტერიული
წნევა

BMI - სხეულის მასის ინდექსი

RAS - რენინ ანგიოტენზინ სისტემა

T/A - არტერიული წნევა

mmHg - მილიმეტრი ვერცხლის
წყლის სვეტით

ACEi - ანგიოტენზინ
გარდამქმნელი ფერმენტის
ინჰიბიტორი

ARB - ანგიოტენზინის
რეცეფტორის ბლოკერი

ACC/AHA - ამერიკის გულის
კოლეჯი/ამერიკის გულის ასოციაცია

ESC/ESH - ევროპის კარდიოლოგთა

საზოგადოება/ევროპის ჰიპერტენზიის
საზოგადოება

ABPM - 24 საათიანი არტერიული
წნევის ამბულატორიული
მონიტორინგი

GOLD - აბრევიატურა: Global Initiative
for Chronic Obstructive Lung Disease –
ფილტვის ქრონიკული
ობსტრუქციული დაავადების
გლობალური ინიციატივა

NYHA - ნიუ-ორკის გულის ასოციაცია

eGFR - გორგლოვანი ფილტრაციის
განსაზღვრა

Grade4 - მეოთხე სტადია

LDL-C - დაბალი სიმკვრივის ქოლესტერინი
HbA1c - გლიკირებული ჰემოგლობინი

hs-CRP - მაღალი მგრძნობელობის C-
რეაქტიული ცილა

LVEF - მარცხენა პარკუჭის განდევნის
ფრაქცია

COPD - ფილტვის ქრონიკული
ობსტრუქციული დაავადება

AF - წინაგულთა ფიბრილაცია და
თრთოლვა

DM - შაქრიანი დიაბეტი

COVID-19 - კორონავირუსული
დაავადება

Dipper - არტერიული წნევის
ნორმალური ცირკადულობა

Non-dipper - არტერიული წნევის
ცირკადობის დარღვევა ღამის წნევის
არაადექვატური დაქვეითებით(<10%)

Reverse-dipper - არტერიული წნევის
ცირკადობის დარღვევა ღამის წნევის
მატებით

HFrEF - გულის უკმარისობა მარცხენა
პარკუჭის დაბალი განდევნის
ფრაქციით

HFpEF - გულის უკმარისობა მარცხენა
პარკუჭის შენახული განდევნის
ფრაქციით

HFmrEF - გულის უკმარისობა მარცხენა
პარკუჭის მცირედ დაქვეითებული
განდევნის ფრაქციით

HR - გულის შეკუმშვათა სიხშირე

M+-SD - საშუალო +-სტანდარტული
გადახრა

T2DM - ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტი

ULN - ნორმალური ზედა ზღვარი

■ ცხრილები და გრაფიკები და სხვა ილუსტრაციების ჩამონათვალი

ცხრილები

ცხრილი#1; საწყისი სისტოლური და დიასტოლური წნევა, გულის შეკუმშვათა სიხშირე, დემოგრაფიული და სამედიცინო მახასიათებლები საკვლევ პოპულაციაში

ცხრილი#2; საშუალო სისტოლური და დიასტოლური წნევა, გულის შეკუმშვათა სიხშირე კარვედილოლით მკურნალობიდან 6 კვირის შემდეგ

ცხრილი#3; საშუალო სისტოლური და დიასტოლური წნევა, გულის შეკუმშვათა სიხშირე კარვედილოლით მკურნალობიდან 6 კვირის შემდეგ ქვეჯგუფებში სქესის და გლიკემიური პროფილის მიხედვით

ცხრილი#4; ჰიპოტენზიის და გულის შეკუმშვათა სიხშირის რეგრესიული ანალიზი

დანართები

დანართი#1; საინფორმაციო ფურცელი და ინფორმირებული თანხმობის ფორმა

დანართი#2; მკურნალობაზე ამყოლობის კითხვარი

დანართი#3; კარვედილოლის სხვა ბეტა-ბლოკერებთან ექვივალენტური დოზების ცხრილი

სურათები

სურათი#1; სამმაგ ანტიჰიპერტენზიულ თერაპიაზე მყოფი პაციენტების 2 ჯგუფი

სურათი#2; კვლევის დიზაინი და პაციენტების განაწილება ჯგუფების მიხედვით

სურათი#3; კარვედილოლის დამატების შემდეგ სისტოლური წნევის ცვლილება

სურათი#4; კარვედილოლის დამატების შემდეგ დიასტოლური წნევის ცვლილება

სურათი#5; კარვედილოლით ჩანაცვლების შემდეგ სისტოლური წნევის ცვლილება

სურათი#6; კარვედილოლით ჩანაცვლების შემდეგ დიასტოლური წნევის ცვლილება

■ 1. შესავალი

1.1. საკვლევი თემის აქტუალობა

არტერიული წნევის მკურნალობა და სამიზნე არტერიული წნევის მიღწევის პრობლემა არ კარგავს აქტუალობას ბოლო ათწლეულების მანძილზე, ცნობილია, რომ გლობალურად არტერიული ჰიპერტენზიის მედიკამენტური მკურნალობის ფონზე საშუალოდ მხოლოდ 21% შემთხვევაში მიიღწევა სამიზნე არტერიული წნევის ციფრები, რაც არის ავადობის და სიკვდილობის ერთერთი უპირველესი მიზეზი (Kibone et al., 2023). უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ჩატარებულია მსგავსი ობსერვაციული კვლევა, რის მიხედვითაც არტერიული ჰიპერტენზიის მედიკამენტური მკურნალობის ფონზე სამიზნე არტერიული წნევის მიღწევა მოხერხდა მხოლოდ 19%-ში (Camafort et al., 2024).

მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ არაკონტროლირებადი და რეზისტენტული არტერიული ჰიპერტენზიის დროს კიდევ უფრო იზრდება დიდი კარდიოვასკულური გართულებების გამოვლენის რისკი (Cardoso and Salles, 2020).

რეზისტენტული არტერიული ჰიპერტენზია ეწოდება მდგომარეობას, როდესაც დანიშნულია სამი სხვადასხვა ჯგუფის ანტიჰიპერტენზიული მედიკამენტები (მათ შორის დიურეტიკი) და არტერიული წნევის სამიზნე ციფრები არ არის მიღწეული (Carey et al., 2018). ასეთ დროს რეკომენდირებულია მეოთხე ჯგუფის მედიკამენტის დამატება, როგორიცაა მაგალითად; სპირინოლაქტონი, ან ბეტა-ბლოკერი, ან ალფა-ბლოკერი, ან ცენტრალური მოქმედების მედიკამენტი (Williams et al., 2018).

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად მტკიცებულებითი მედიცინის განვითარებისა, არტერიული ჰიპერტენზიის მკურნალობის თანამედროვე გაიდლაინების მიერ მოწოდებული ბევრი რეკომენდაციებისა, დღესდღეობით მტკიცებულება რეზისტენტული არტერიული ჰიპერტენზიის მკურნალობისა მწირია, განსაკუთრებით ეს ეხება ბეტა-ბლოკერების

გამოყენებას. არსებობს ერთადერთი ვალიდური კვლევა, PATHWAY-2, რომელიც რეზისტენტული ჰიპერტენზიის მქონე პაციენტებში მეოთხე მედიკამენტად სპირონოლაქტონის, ბისოპროლოლის (ბეტა-ბლოკერი) ან დოქსაზოსინის (ალფა-ბლოკერი) დამატებას შეისწავლის.

კვლევა სამივე მედიკამენტის ეფექტურობას პლაცებოსთან ადარებს. აღსანიშნავია, რომ სპირონოლაქტონის ეფექტი მნიშვნელოვნად აღემატება ბისოპროლოლისა და დოქსაზოსინის ეფექტს. ამ ორ უკანასკნელს კი თითქმის იდენტური შედეგები ჰქონდა.

აბსოლუტურ ციფრებში ეს ასე გამოიხატა:

- სპირონოლაქტონმა სისტოლური არტერიული წნევა 12.8 mmHg-ით დააქვეითა.
- დოქსაზოსინმა – 8.7 mmHg-ით.
- ბისოპროლოლმა – 8.3 mmHg-ით.
- პლაცებოს ჯგუფში კი წნევა 4.1 mmHg-ით დაქვეითდა.

მიუხედავად იმისა, რომ ბისოპროლოლი და დოქსაზოსინი სპირონოლაქტონთან შედარებით ნაკლებად ეფექტური იყო სისტოლური არტერიული ჰიპერტენზიის რედუქციის თვალსაზრისით, ამ კვლევის და მტკიცებულების შემდეგ რეზისტენტული ჰიპერტენზიის დროს ბეტა-ბლოკერის შერჩევისას ბისოპროლოლი იყო რეკომენდირებული, როგორც არჩევის ბეტა-ბლოკერი 2018 წლის ევროპის კარდიოლოგთა საზოგადოების/ევროპის ჰიპერტენზიის საზოგადოების ერთობლივი გაიდლაინის მიხედვით (Williams et al., 2015). სხვა ბეტაბლოკერების რეზისტენტული ჰიპერტენზიის მკურნალობის შესახებ ვალიდური კვლევები და მყარი მტკიცებულებები არ არსებობს.

გასათვალისწინებელია კარდიოლოგიაში გამოყენებული ბეტა-ბლოკერებს შორის კლასობრივი განსხვავება, რომელიც დაკავშირებულია მათ ბეტა-სელექტიურობასთან, ასევე დამატებით ვაზოდილატაციურ და სხვა ეფექტებთან (Basile, 2010). კარვედილოლი ბისოპროლოლისგან განსხვავებით არის არასელექტიური ბეტა-1 და ბეტა-2 ადრენო

რეცეფტორის ბლოკერი, დამატებით აქვს ალფა-1 ბლოკადის თვისებით, რაც განაპირობებს მის ვაზოდილატაციურ ეფექტს (Gheorghide et al., 2003). კარვედილოლს აქვს დამატებით ინსულინის მიმართ მგრძნობელობის გაუმჯობესების უნარი (Jacob et al., 1996) და კარგად გამოხატული ანტიოქსიდაციური ეფექტებიც (Kukin et al., 1999)

დამატებით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბეტა ბლოკერების პირისპირ შედარებითი კვლევები და სამეცნიერო მტკიცებულება არტერიული ჰიპერტენზიის დროს წნევის რედუქციის თვალსაზრისით მწირია (Esler et al., 2022, Taddei et al., 2024).

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე კარვედილოლის ეფექტის მოლოდინი არტერიული წნევის რედუქციის და სამიზნე არტერიული წნევის მიღწევის თვალსაზრისით მეტია, რაც განპირობებულია მისი კლასობრივი განსხვავებით ტრადიციული ბეტა-1 სელექტიური ბეტა-ბლოკერ ბისოპროლოლისგან, რაც განპირობებულია პირველ რიგში ალფა-1 ადრენო რეცეფტორის ბლოკადის უნარით გამოწვეული ვაზოდილატაციის შესაძლებლობით.

ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს მყარი მტკიცებულება იმის შესახებ, თუ რამდენი ერთეულით (mmHg) აქვეითებს კარვედილოლი სისტოლურ და დიასტოლურ არტერიულ წნევას რეზისტენტული ჰიპერტენზიის დროს.

არ არსებობს მტკიცებულება პაციენტებში კალციუმის არხების ბლოკერის აუტანლობის ფონზე არსებული რეზისტენტული ჰიპერტენზიის დროს ბეტა-ბლოკერების ეფექტის შესახებ, სადაც კიდევ უფრო აქტუალური ხდება კარვედილოლის ალფა-1 ადრენო რეცეფტორის ბლოკადით გამოწვეული ვაზოდილატაციური ეფექტი.

1.2. კვლევის მიზანი და ამოცანები, ჰიპოთეზა

კვლევის მიზანი იყო კარვედილოლის (არასელექტიური ბეტა-1 და ბეტა-2 ადრენორეცეფტორის ბლოკატორი, დამატებით ალფა-1 ბლოკირების ფუნქციით) ეფექტურობის შეფასება სისტოლური და დიასტოლური არტერიული წნევის რედუქციის შესწავლის და რეზისტენტული ჰიპერტენზიის მართვაში სამიზნე

არტერიული წნევის მიღწევის შესაძლებლობის კონტექსტში, მათ შორის კალციუმის არხების ბლოკატორების მიმართ აუტანლობის მქონე პაციენტებში.

კვლევის ამოცანა იყო კარვედილოლის ეფექტის შეფასება რეზისტენტული ჰიპერტენზიის მქონე პაციენტების 2 ძირითად ჯგუფში:

ჯგუფი-1 კარვედილოლის დამატება: პაციენტები, რომლებიც არ ღებულობდნენ ბეტა-ბლოკერებს, თუმცა ღებულობენ სამმაგ ანტიჰიპერტენზულ თერაპიას (რაას-ინჰიბიტორით, თიაზიდური/თიაზიდის მსგავსი დიურეტიკი, კალციუმის არხების ბლოკატორი) მაქსიმალურად ასატანი დოზებით, მათ ემატებოდა კარვედილოლი.

ჯგუფი-2 კარვედილოლით ჩანაცვლება: პაციენტები, რომლებიც ვერ ღებულობდნენ კალციუმის არხების ბლოკატორებს აუტანლობის გამო, თუმცა იმყოფებოდნენ სამმაგ ანტიჰიპერტენზიულ თერაპიაზე (რაას-ინჰიბიტორით, თიაზიდური/თიაზიდის მსგავსი დიურეტიკი, ბეტა-ბლოკერი ბისოპროლოლი) მაქსიმალური ასატანი დოზებით, ამ ჯგუფის პაციენტებში ბისოპროლოლის ჩანაცვლება ხდებოდა კარვედილოლით, შესაბამისი დოზების ექვივალენტურობის პრინციპით (იხ. დანართი 3: კარვედილოლის სხვა ბეტა-ბლოკერებთან ექვივალენტური დოზების ცხრილი)

კვლევის ჰიპოთეზა:

- პაციენტებში რეზისტენტული და არაკონტროლირებადი არტერიული ჰიპერტენზიით კარვედილოლის დამატება გამოიწვევს კლინიკურად მნიშვნელოვან * (სისტოლური არტერიული წნევის მინიმუმ 10 mmHg, ხოლო დიასტოლური არტერიული წნევის მინიმუმ 5 mmHg) და ეფექტურ დაქვეითებას
- პაციენტებში რეზისტენტული და არაკონტროლირებადი არტერიული ჰიპერტენზიით, ბისოპროლოლის კარვედილოლით ჩანაცვლება გამოიწვევს არტერიული წნევის უფრო ეფექტურ დაქვეითებას

1.3 კვლევის მნიშვნელობა, სიახლე

არტერიული წნევის სამიზნე ციფრების კონტროლი რეზისტენტული ჰიპერტენზიის დროს კრიტიკულად მნიშვნელოვანია, თითქმის ყოველი მესამე პაციენტთან მიუხედავად სამმაგი ანტიჰიპერტენზიული თერაპიისა დგინდება რეზისტენტული ჰიპერტენზია და საჭიროებს მეოთხე მედიკამენტის დამატებას და შემდგომ ანტიჰიპერტენზიული თერაპიის მოდიფიცირებას (Calhoun et al., 2008).

ბეტა ბლოკერების გამოყენების მიმართულებით არსებობს მტკიცებულების დიდი დეფიციტი, არსებული მტკიცებულებით რეზისტენტულ ჰიპერტენზიის სამართავად კარგად არის შესწავლილი ხოლოდ ბისოპროლოლი, რომელსაც აქვს სელექტიურად ბეტა-1 ბლოკადის თვისება. სხვა კარდიოლოგიურ პაციენტებში ხშირად გამოყენებადი ბეტა ბლოკერით მკურნალობის მყარი მტკიცებულებები არ არსებობს. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ბეტა ბლოკერი კარვედილოლი მოქმედებს არა მხოლოდ ბეტა-1 რეცეფტორებზე, არამედ ბეტა-2 ადრენორეცეფტორებზე და დამატებით აქვს ალფა-1 ბლოკატორის თვისებაც აქვს გამოხატული (Jabbour et al., 2010). ეს მნიშვნელოვანი კლასობრივი სხვაობა ბეტა ბლოკერებს შორის და მტკიცებულების არარსებობა განაპირობებს აღნიშნული კვლევის აქტუალობას, სიახლეს და მნიშვნელობას.

■ 2. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

2.1. არტერიული ჰიპერტენზია: ჯანდაცვის სისტემის მძიმე ტვირთი.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემების თანახმად, არტერიული ჰიპერტენზია ფარდობთ გავრცელებული დაავადებაა და იგი გლობალურად ზრდასრული ადამიანების 2/3-ს აღენიშნება. მსოფლიოში 1,28 მილიარდი ადამიანი არის დაავადებული არტერიული ჰიპერტენზიით. არტერიული ჰიპერტენზიის მართვას ართულებს ბევრი ფაქტორი, როგორიცაა დაავადების ცნობადობის დაბალი დონე, არტერიული ჰიპერტენზიის დიაგნოსტიკტირების პრობლემა, სამიზნე არტერიული წნევის მიღწევის დაბალი მაჩვენებელი. დადგენილია, რომ დაახლოებით 46%-ს არ აქვს ინფორმაცია, რომ მათ აღენიშნებათ არტერიული ჰიპერტენზია, მხოლოდ 42%-ში ხერხდება მისი დიაგნოსტიკტირება, მკურნალობის მიუხედავად დაახლოებით 79%-ში არ არის მიღწეული სამიზნე არტერიული წნევის ციფრები.

არტერიული ჰიპერტენზიის კავშირი კარდიო-ვასკულური დაავადების რისკებთან კარგად არის დადგენილი (Wang et al., 2024). არტერიული ჰიპერტენზია წარმოადგენს დიდი ტვირთს მორბილობის და ჯანდაცვის ფინანსური დანახარჯების ზრდის მიმართულებით. არტერიული ჰიპერტენზიის დროს იზრდება საერთო სიკვდილობის რისკი და იგი ამ და სხვა მძიმე კარდიოვასკულური გართულების მნიშვნელოვანი პრედიქტორია (Aune et al., 2021).

ხანგრძლივად მიმდინარე არტერიული ჰიპერტენზია ხდება სხვადასხვა ორგანოს დაზიანების მიზეზი, როგორიცაა:

არტერიული ჰიპერტენზია და მიოკარდიუმის ინფარქტი:

კარგად არის ცნობილი, რომ არტერიული ჰიპერტენზია არის ერთ-ერთი დიდი რისკ-ფაქტორი კარდიო-ვასკულური გართულებისა, როგორიცაა მიოკარდიუმის ინფარქტი, დადასტურებულია ასევე ის ფაქტიც, რომ არტერიული წნევის შემცირება დაკავშირებულია მიოკარდიუმის ინფარქტის განვითარების რისკის შემცირებასთან (Kaplan et al., 1999).

არტერიული ჰიპერტენზია და ინსულტი:

კორელაცია არტერიული ჰიპერტენზიის და ინსულტის კარგად არის აღწერილი ობსერვაციულ კვლევებში. ცნობილია, რომ არტერიული წნევის ციფრების ადექვატური დაქვეითება (სისტოლური და დიასტოლური) <130/80 mmHg-ზე არის მნიშვნელოვანი ფაქტორი ინსულტის რისკების დაქვეითების, როგორც პირველადი ასევე მეორადი პრევენციის თვალსაზრისით (Katsanos et al., 2017). ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია კლინიკური კვლევა PROGRESS trial, სადაც აფგინიზმის და თიაზიდის მსგავსი დიურეტიკის კომბინაციაში გამოყენებით მოხერხდა არტერიული წნევის ციფრების დარეგულირება და ინსულტის რისკის მნიშვნელოვანი შემცირება, აღნიშნული კვლევის თანახმად ინსულტის რისკი შემცირდა 43%-ით, ასევე სხვა დიდი კარდიო-ვასკულური შემთხვევები შემცირდა 26%-ით (PROGRESS Collaborative Group, 2001).

თირკმლისმიერი გართულებები არტერიული ჰიპერტენზიის დროს:

ჰიპერტენზია და თირკმლის ქრონიკული დაავადება ერთმანეთთან არიან მყარ კორელაციაში, რაც გულისხმობს იმას, რომ არტერიული ჰიპერტენზიის მქონე პაციენტებს აქვთ მომატებული რისკი თირკმლის ქრონიკული დაავადების განვითარებისა და პირიქით. თირკმლის ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტებში უფრო ხშირია არტერიული ჰიპერტენზიის შემთხვევები (Burnier and Damianaki, 2023), თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არტერიული ჰიპერტენზია არის დამოუკიდებელი რისკ ფაქტორი თირკმლის ქრონიკული დაავადების განვითარების და პროგრესირებისა, ასევე არსებობს ასოციაცია არტერიული წნევის ციფრებსა და თირკმლის დაავადების განვითარებას შორის, რაც უფრო მაღალია არტერიული წნევის ციფრები, მით უფრო მეტია თირკმლის პროგრესული დაზიანების რისკი (Klag et al., 1996, Lee et al., 2021, Sim et al., 2014, Pugh et al., 2019, Hsu et al., 2005, Tozawa et al., 2003).

პერიფერიული არტერიების დაავადებები არტერიული ჰიპერტენზიის დროს:

პერიფერიული არტერიული დაავადება და არტერიული ჰიპერტენზია ხშირად ერთად თანაარსებობენ და წარმოადგენენ კარდიული გართულებების მნიშვნელოვან რისკ ფაქტორს, არტერიული ჰიპერტენზიის მქონე პაციენტებს აქვთ მაღალი პრევალენტობა პერიფერიული არტერიების დაავადებისა, თავად არტერიული ჰიპერტენზია ხელს უხწობს პერიფერიული არტერიების დაავადების განვითარებას,

რაც იწვევს პერიფერიული პერფუზიის დაქვეითებას და იშემიას, რაც თავის მხრივ მაღალი კარდიო-ვასკულური გართულებების მნიშვნელოვანი რისკ-ფაქტორი ხდება (Abraham et al., 2024).

გულის უკმარისობის გართულებები არტერიული ჰიპერტენზიის დროს:

არტერიული ჰიპერტენზია არის ერთერთი ძირითადი რისკ-ფაქტორი გულის უკმარისობის განვითარებისა. არტერიული წნევის ადექვატური კონტროლი ამცირებს, როგორც კარდიო-ვასკულური განვითარების რისკს, ასევე ამცირებს გულის უკმარისობის განვითარების რისკს. უნდა აღინიშნოს, რომ არტერიული ჰიპერტენზია ხშირად ასოცირდება გულის უკმარისობასთან, როგორც დაბალი განდევნის ფრაქციით (HFrEF), ისე მცირედ დაქვეითებული (HFmrEF) და შენახული განდევნის ფრაქციით (HFpEF) მიმდინარე შემთხვევაში. ფრემინგემის კვლევის თანახმად გულის უკმარისობის მქონე პაციენტების 91%-ში ფიქსირდებოდა 20 წლიანი ანამნეზი არტერიული ჰიპერტენზიის, რაც ამყარებს ამ მოსაზრებას. თავად გულის უკმარისობა კი არის ერთერთი დიდი პრობლემა ცხოვრების ხარისხის დაქვეითების და კარდიო-ვასკულური გართულებების და ჰოსპიტალიზაციის თვალსაზრისით (Gallo and Savoia, 2024).

წინაგულთა ფიბრილაციის და თრთოლვის რისკი:

დადგენილია კორელაცია წინაგულთა ფიბრილაცია/თრთოლვის განვითარებასა და არტერიულ ჰიპერტენზიას შორის. არტერიული ჰიპერტენზია ერთერთი მთავარი რისკ-ფაქტორია წინაგულთა ფიბრილაციის და თრთოლვის გამოვლინებისა. პაციენტებს ვისაც აქვთ წინაგულთა ფიბრილაცია ან თრთოლვა, 60%-ს აღენიშნება არტერიული ჰიპერტენზიაც. ადექვატური წნევის ციფრების შენარჩუნება არის ერთერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი წინაგულთა ფიბრილაციის და თრთოლვის პრევენციის მიმართულებით (Parcha et al., 2020).

რეტინოპათიების განვითარების რისკი:

მრავალი წელია დადგენილია ასოციაცია არტერიული წნევის მაღალი ციფრების რეტინოპათიის განვითარებასთან, რაც კიდევ უფრო განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს შაქრიანი დიაბეტის მქონე პაციენტებში, როგორც ერთერთი მნიშვნელოვანი გართულება (Klein and Klein, 2002, Kim et al., 2023).

შეჯამება:

ჩატარებული მეტა-ანალიზით დგინდება, რომ არტერიული წნევის რედუქცია მნიშვნელოვნად აქვეითებს კარდიო-ვასკულურ რისკებს, მათ შორის მცირდება გულის იშემიური დაავადების განვითარების რისკი, ინსულტის რისკი, გულის უკმარისობის რისკი და საერთო სიკვდილობის რისკი ყველა ტიპის პოპულაციაში არტერიული წნევის საწყისი მაჩვენებლის მიუხედავად. ამ მეტა-ანალიზის მიხედვით, 10 mmHg-ით სისტოლური არტერიული წნევის დაქვეითება იწვევს დიდი კარდო-ვასკულური დაავადების შემთხვევების შემცირებას 20%-ით, მცირდება აგრეთვე კორონარული არტერიების დაავადების რისკი 17%-ით, ინსულტის რისკი 27%-ით, გულის უკმარისობის განვითარების რისკი 28%-ით და საერთო სიკვდილობის რისკი 13%-ით (Ettehad et al., 2016).

არტერიული წნევის რედუქციაზე მოქმედი ფაქტორებია: მედიკამენტურ თერაპიაზე მკურნალობის ამყოლობა, ცხოვრების ჯანსაღი წესი, სიმსუქნე, მარილის და ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება, უმოძრაო ცხოვრების წესი, არაჯანსაღი კვება. სუბოპტიმალური არტერიული წნევის ციფრები კი დაკავშირებულია კარდიო-ვასკულური რისკების მკვეთრ მატებასთან; ჰემორაგიული ინსულტის 54% და იშემიური ინსულტის 50%-ით, გულის იშემიური დაავადების რისკის 55%-ით, გულის უკმარისობის და პერიფერიული არტერიული დაავადების 58%-ით (Carey et al., 2018).

თანამედროვე ევროპული გაიდლაინების მიხედვით არტერიული ჰიპერტენზიის სამკურნალოდ რეკომენდირებულია 5 ძირითადი ანტიჰიპერტენზიული ჯგუფის მედიკამენტები; აგვ-ინჰიბიტორები, ანგიოტენზინის რეცეფტორის ბლოკერები, კალციუმის არხების ბლოკერები, დიურეტიკები (თიაზიდური ან თიაზიდის მსგავსი) და ბეტა-ბლოკერები (Whelton et al., 2018, Williams et al., 2018).

• კალციუმის არხების ბლოკატორები *(CCBs):

ერთ-ერთი დიდი მეტა-ანალიზის ჩატარების შემდეგ, რომელიც შეიცავდა 23 რანდომიზირებულ კვლევას და 153,849 პაციენტის მონაცემებს, ადარებდა კალციუმის არხების ბლოკატორებს სხვა ანტი ჰიპერტენზიული ჯგუფის

მედიკამენტებს. მეტა-ანალიზის კვლევამ აჩვენა, რომ კალციუმის არხების ბლოკატორებმა სხვა პირველი რიგის ანტი ჰიპერტენზიულ მედიკამენტებთან მიმართებაში არ აჩვენა განსხვავება საერთო სიკვდილის რედუქციის თვალსაზრისით. კალციუმის არხების ბლოკატორებმა დიურეტიკთან შედარებით გაზარდა გულის უკმარისობის რისკი და მცირედ გაიზარდა ასევე დიდი კარდიო-ვასკულური რისკებიც. ბეტა ბლოკერებთან შედარებით შეამცირა დიდი კარდიოვასკულური გართულებების, შეამცირა ასევე ინსულტის, კარდიო-ვასკულური სიკვდილობის რისკი. აფგ-ინჰიბიტორებთან შედარებით შეამცირა ინსულტის რისკი, თუმცა გაზარდა გულის უკმარისობის განვითარების რისკი. ანგიოტენზინ რეცეფტორის ბლოკატორებთან შედარებით იგი ამცირებს მიოკარდიუმის ინფარქტის რისკს, თუმცა ზრდის გულის უკმარისობის რისკს (Zhu et al., 2021). საერთო ჯამში კალციუმის არხების ბლოკატორებს გააჩნიათ ფატალური და არა ფატალური კარდიო-ვასკულური რისკების შემცირების უნარი, ასევე კარდიო-ვასკულური სიკვდილობის რედუქციის უნარი (Lee, 2023).

- **თიაზიდური/თიაზიდის მსგავსი დიურეტიკი:**

აფგ-ინჰიბიტორების ერას (1990-იანი წლები) ემთხვევა თიაზიდური დიურეტიკების დანიშვნის შემცირება, რაც ერთი მხრივ დაკავშირებული იყო იმასთან, რომ თიაზიდურ დიურეტიკებს ჰქონდათ უარყოფითი გლიკემიური პროფილი, მათ ასევე ჰქონდათ გამოხატული ახლად აღმოცენებული დიაბეტის განვითარების და ელექტროლიტური ბალანსის დარღვევის რისკი. იმის გათვალისწინებით, რომ დიურეტიკები 1990-იან წლებში ხშირად ინიშნებოდა უფრო დიდი დოზებით, ეს საკითხი კიდევ უფრო აქტუალურიც იყო. თუმცა უნდა ითქვას, რომ არსებული კვლევების თანახმად იგი კვლავ რჩება პირველი რიგის მედიკამენტად, განსაკუთრებით კომბინაციაში რენინ ანგიოტენზინ სისტემის ან კალციუმის არხების ბლოკატორებთან, უნდა აღინიშნოს, რომ დიურეტიკები ითვლება როგორც საკმაოდ ხარჯ-ეფექტური მედიკამენტი ჰიპერტენზიის სამკურნალოდ (Ferreira, 2010).

მიუხედავად მათი გვერდითი მოვლენებისა, დიურეტიკებს დადგენილი აქვთ ინსულტის პრევენციის, გულის უკმარისობის რისკის შემცირების, კარდიო-ვასკულური მორბილობის და სიკვდილობის რისკის შემცირების უნარი და

განსაკუთრებით ეფექტურია მათი კომბინაციურ თერაპიაში გამოყენება (Messerli et al., 2003, (Davis et al., 2006, Salvetti and Ghiadoni, 2006, Wald et al., 2009).

- **ბეტა-ბლოკერები:**

არტერიული ჰიპერტენზიის მქონე პაციენტებში ბეტა-ბლოკერებმა არ დაამტკიცა ეფექტურობა კარდიო-ვასკულური გართულებების, ინსულტის, გულის უკმარისობის და საერთო სიკვდილობის პრევენციის მიმართულებით (UK, National Clinical Guideline Centre, 2011, Neal, MacMahon, & Chapman, 2000, Thomopoulos et al., 2015). აქედან გამომდინარე ბეტა-ბლოკერები არ განიხილებიან პირველი რიგის მედიკამენტად არტერიული ჰიპერტენზიის სამკურნალოდ და ძირითადად იხმარება რეზისტენტული არტერიული ჰიპერტენზიის შემთხვევებში, როდესაც გამოყენებულია პირველი რიგის თერაპიისთვის განკუთვნილი სამივე ჯგუფის ანტი ჰიპერტენზიული მედიკამენტები, თუმცა ისეთი თანხმლები დაავადებების დროს როგორცაა, გულის უკმარისობა, შაკიკი, სტენოკარდია, გადატანილი მიოკარდიუმის ინფარქტი, კიდურების ესენციური ტრემორის, მარცხენა პარკუჭის დაქვეითებული განდევნის ფრაქცია, მიოკარდიუმის ინფარქტის შემდგომი მდგომარეობა, ტაქიკარდიით მიმდინარე რითმის დარღვევები, ბეტა-ბლოკერები შეიძლება განიხილებოდეს, როგორც არტერიული ჰიპერტენზიის სამკურნალო პირველი რიგის თერაპიის მედიკამენტად (Heidenreich, Lee, & Massie, 1997, Danesh and Gottschalk, 2019, Mancia et al., 2022).

- **რენინ ანგიოტენზინ ალდოსტერონის სისტემის ინჰიბიტორები (აფგ-ინჰიბიტორი-ACEi, ანგიოტენზინ რეცეფტორის ბლოკერები-ABRs):**

რენინ ანგიოტენზინ ალდოსტერონის სისტემის ინჰიბიტორებმა აჩვენა კარგი ეფექტურობა დიდი კარდიო-ვასკულური გართულებების პრევენციის მიმართულებით, რისი მტკიცებულებები მრავლად არის წარმოდგენილი თანამედროვე კარდიოლოგიაში (Alcocer et al., 2023). უნდა აღინიშნოს, რომ არსებული ეფექტი შენარჩუნებული იყო სხვადასხვა რისკის და ასაკობრივ კატეგორიაშიც, რაც არის კარგად ასახული კონკრეტულ კვლევებში:

- i. *ასაკოვან პაციენტებში* (HYVET, SCOPE studies, Beckett et al., 2008, Lithell et al., 2003).
- ii. *მაღალი კორონარული რისკის პაციენტებში* (HOPE, ASCOT-BPLA, TRANSEND, VALUE, NAVIGATOR, ONTARGET studies) - (Heart Outcomes Prevention Evaluation Study Investigators, 2000, Dahlöf et al., 2005, Telmisartan Randomised AssessmeNt Study in ACE

- iNtolerant subjects with cardiovascular Disease-TRANSCEND Investigators, 2008, Julius et al., 2004, NAVIGATOR Study Group, 2010, Ontarget Investigators, 2008).
- iii. პაციენტები გულის ქრონიკული იშემიური დაავადებით (EUROPA, PEACE, QUIET studies) - (European Trial on Reduction of Cardiac Events with Perindopril in Stable Coronary Artery Disease Investigators, 2003, PEACE Trial Investigators, 2004, Pitt et al., 2001).
 - iv. პაციენტები გულის მწვავე იშემიური დაავადებით, კერძოდ მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტით (SAVE, CONSENSUS, AIRE, TRACE, SMILE, OPTIMAAL, VALIANT studies) - (Pfeffer et al., 1992, Swedberg et al., 1992, Study, The Acute Infarction Ramipril Efficacy AIRE, 1993, Køber et al., 1995, Ambrosioni, Borghi, & Magnani, 1995, Dickstein and Kjekshus, 2002, Pfeffer et al., 2003).
 - v. გულის უკმარისობის მქონე პაციენტებში (CONSENSUS, SOLVD, CHARM-alternative, Val-HeFT studies) - (Consensus Trial Study Group, 1987, SOLVD Investigators, 1991, Granger et al., 2003, Cohn and Tognoni, 2001).
 - vi. პაციენტები ინსულტის შემგომ (PROGRESS, PROFESS studies) - (Yusuf et al., 2008)
 - vii. პაციენტები შაქრიანი დიაბეტით ტიპი 2, მათ შორის პაციენტები ნეფროპათიით (ADVANCE, RENAAL, INDY, IRMA, ORIENT, ROADMAP studies) – (Patel, 2007, Brenner et al., 2001, Lewis et al., 2001, Parving et al., 2001, Imai et al., 2011, Haller et al., 2011).

შესაბამისად თანამედროვე გაიდლაინებით, როგორც ამერიკული (ACC/AHA), ასევე ევროპული (ESC/ESH) რენინ ანგიოტენზინის სისტემის ინჰიბიტორები რეკომენდირებულია, როგორც პირველი რიგის თერაპია არტერიული ჰიპერტენზიის სამკურნალოდ, მათი (აფ-ინჰიბიტორის ან ანგიოტენზინის რეცეფტორის ბლოკატორის) კომბინაცია კალციუმის არხების ბლოკატორებთან ან დიურეტიკებთან (თიაზიდური ან თიაზიდის მსგავსი) არის პირველი რიგის არჩევის ორმაგი თერაპია. ამ კომბუნაციური თერაპიის გამოყენების შემდეგ არტერიული წნევის არაეფექტური დაქვეითების შემთხვევაში დგება საკითხი სამივე ჯგუფის მედიკამენტის (რენინ ანგიოტენზინის ბლოკატორის, კალციუმის არხების ბლოკერების და დიურეტიკის) ერთობლივად გამოყენება, რაც დაახლოებით შემთხვევათა 30%-შემთხვევაში გვესაჭიროება.

რენინ-ტენზინული ჰიპერტენზია:

მიუხედავად სამი სხვადასხვა ანტი ჰიპერტენზიული ჯგუფის მედიკამენტებით მკურნალობისა პაციენტების გარკვეულ კატეგორიაში დგება

რეზისტენტული არტერიული ჰიპერტენზია, რაც გულისხმობს სამმაგ თერაპიაზე (მათ შორის დიურეტიკი) მყოფი პაციენტების არტერიული წნევის სამიზნე ციფრების მიუღწევლობას.

რეზისტენტული არტერიული ჰიპერტენზია დაახლოებით 20-30%-ში გვხვდება და იგი გაცილებით ხშირია ასაკოვან პაციენტებში, აგრეთვე პაციენტებში შაქრიანი დიაბეტით, თირკმლის ქრონიკული დაავადებით, სიმსუქნით, ძილის აპნოეს მქონე პაციენტებში. მისი მართვა დაკავშირებულია ბევრ გამოწვევებთან.

როდესაც ვერ ხერხდება არტერიული წნევის სამიზნე ციფრების მიღწევა და დგება რეზისტენტული ჰიპერტენზია და სამმაგ ანტიჰიპერტენზიული თერაპიის მკურნალობის სქემაში უნდა იქნეს დამატებული მეოთხე, სხვა ჯგუფის ანტი ჰიპერტენზიული საშუალებები: სპირინოლაქტონი, ან ბეტა-ბლოკერი, ან ცენტრალური მოქმედების აგენტები, ან ალფა-ბლოკატორები, ან მარყუჟოვანი შარმდენი, განსაკუთრებით თირკმლის ქრონიკული დაავადების სამკურნალოდ (Williams et al., 2018).

უშუალოდ რეზისტენტული ჰიპერტენზიის ბეტა ბლოკერებით მკურნალობის მტკიცებულებები ძალიან მწირია, არსებობს ერთი კვლევა PATHWAY-2-ს, რომელიც ეხება კონკრეტული ბეტა ბლოკერის ბისოპროლოლის გამოყენებას ამ პაციენტებში. როგორც კვლევის შედეგებმა აჩვენა ბისოპროლოლმა მოახერხა სისტოლური არტერიული წნევის დაქვეითება 8,4 mmHg, თუმცა სპირინოლაქტონი მეორე ჯგუფში გაცილებით ეფექტური იყო და მან ბისოპროლოლთან შედარებით 6,48 mmHg უფრო მეტად დაწია სისტოლური არტერიული წნევა, რის საფუძველზეც მეტი ეფექტურობა დაამტკიცა სპირინოლაქტონმა.

ბეტა-ბლოკერები, რომლებიც აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა კარდიო-ვასკულური დაავადებების სამკურნალოდ გამოირჩევიან კლასობრივი განსხვავებებით, რაც გულისხმობს მათ სელექტიურობას ბეტა-1 და ბეტა-2 ადრენო რეცეპტორების ბლოკირების, ალფა-1 ადრენო რეცეპტორებზე ბლოკირების ეფექტის, ასევე ვაზოდილატაციური ეფექტის თვალსაზრისით (Basile, 2010). ასეთი განსხვავებული ფენოტიპის პირობებში შეიძლება ითქვას, რომ ვაზოდილატაციური და ალფა-ბლოკერის თვისების მქონე, მესამე თაობის ბეტა ბლოკერი კარვედილოლი

შეიძლება გაცილებით ეფექტური იყოს სხვა მის ანალოგებთან შედარებით. არსებობს მტკიცებულების დეფიციტი რეზისტენტული ჰიპერტენზიის მქონე პაციენტების მესამე თაობის ბეტა-ბლოკერებით მკურნალობის შესახებ.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე ის ფაქტიც რომ პაციენტების გარკვეულ კატეგორიაში (დაახლოებით 8-დან 19%-მდე პაციენტებში) ვერ ინიშნება კალციუმის არხების ბლოკატორები ქვემო კიდურების შეშუპების გვერდითი მოვლენის გამო (Miranda et al., 2008). ამ ტიპის პაციენტების სამიზნე წნევის ციფრების მიღწევა კიდევ უფრო გართულებულია, რის გამოც ხშირად გვესაჭიროება ბეტა ბლოკერის გამოყენება ადრეულ ეტაპზევე, რის გამოც ხშირ შემთხვევაში ინიშნება ბისოპროლოლი, რადგანაც არსებობს მწირი, თუმცა გარკვეული მტკიცებულება ბისოპროლოლთან მიმართებაში.

3. კვლევის მეთოდოლოგია

3.1. კვლევის დიზაინი, მასალა და მეთოდები

კვლევაში ჩართული იყო რეზისტენტული ჰიპერტენზიის მქონე 71 პაციენტი, რომლებიც მკურნალობდნენ ოთხ კლინიკურ ცენტრში (თბილისის გულის ცენტრი [თბილისი, საქართველო]; ჩაფიძის გულის ცენტრი [თბილისი, საქართველო]; სამედიცინო ცენტრი ვივამედი [თბილისი, საქართველო] და ბათუმის ირის ბორჩაშვილის სახელობის ჯანმრთელობის ცენტრი მედინა [ბათუმი, საქართველო]) 2022 წლის თებერვლიდან 2022 წლის დეკემბრამდე. კვლევაში ჩართვის კრიტერიუმები იყო შემდეგი:

- ასაკი >18 -75 წელი.
- საშუალო სისტოლური არტერიული წნევა 24-საათიანი ამბულატორიული არტერიული წნევის მონიტორინგით (ABPM) $>130/80$ mmHg თერაპიული ცხოვრების წესის ჩარევისა და ფარმაკოთერაპიის შემთხვევაში, არტერიული წნევის სამი სხვადასხვა კლასის დამწევი საშუალებების ოპტიმალური დოზებით (აგფ ინჰიბიტორი/ანგიოტენზინის რეცეპტორების ბლოკატორი პლუს კალციუმის არხების ბლოკატორი პლუს თიაზიდური/თიაზიდის მსგავსი დიურეტიკი ან აგფ ინჰიბიტორი/ანგიოტენზინის რეცეპტორების ბლოკატორი პლუს ბისოპროლოლი პლუს თიაზიდური/თიაზიდის მსგავსი დიურეტიკი) მინიმუმ 1 თვის განმავლობაში.
- ინფორმირებული თანხმობის ხელმოწერა.

კვლევიდან გამორიცხეს პაციენტები, რომლებიც აკმაყოფილებდნენ ერთ ან მეტ კრიტერიუმს:

- ასაკი <18 ან >75 წელი.
- მძიმე ჰიპერტენზია ($\geq 180/\geq 110$ mmHg).
- მეორადი არტერიული ჰიპერტენზია.
- დოკუმენტირებული მწვავე გულ-სისხლძარღვთა დაავადების ისტორია ბოლო ექვსი თვის განმავლობაში.
- დოკუმენტირებული სარქვლოვანი გულის დაავადების ისტორია.

- დოკუმენტირებული მწვავე ინფექციური დაავადების ისტორია ბოლო ექვსი თვის განმავლობაში.
- ასთმის და/ან მძიმე ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების (GOLD 3 ან 4) ისტორია.
- კლინიკურად მნიშვნელოვანი არითმიები (მათ შორის ბრადიკარდია) ან გამტარობის დარღვევები.
- გულის შეგუბებითი უკმარისობა III-IV NYHA ფუნქციური კლასის.
- ბეტა-ბლოკატორების ნებისმიერი უკუჩვენება.
- კარვედილოლით მკურნალობა კვლევაში ჩართვამდე.
- $\geq$ Grade4 კატეგორიის ქრონიკული თირკმლის დაავადება ($eGFR \leq 15-29$ მლ/წთ/1.73მ²).
- დეკომპენსირებული ქრონიკული ღვიძლის დაავადება ან ღვიძლის ტრანსამინაზების ნორმალური ზედა ზღვრის (ULN) >2 -ჯერ მომატება.
- სიცოცხლისთვის საშიში თანმხლები დაავადებები ან მიმდინარე დაავადებები.
- ალკოჰოლის/ნარკოტიკების დამოკიდებულების ისტორია ბოლო ექვსი თვის განმავლობაში.
- ორსულობა და ძუძუთი კვება.
- მონაწილეობა სხვა კლინიკურ კვლევაში.
- კვლევაში მონაწილეობის შესახებ ინფორმირებული თანხმობის გაცემის შეუძლებლობა.

71 პაციენტისგან შემდგარი კვლევის პოპულაცია გადანაწილდა ორ ჯგუფად:

- ჯგუფი 1: რეზისტენტული ჰიპერტენზიის მქონე 37 პაციენტი, კარვედილოლის დამატებით მიმდინარე სამმაგ თერაპიაზე: აგფ ინჰიბიტორი/ანგიოტენზინის რეცეპტორების ბლოკატორი, პლუს კალციუმის არხების ბლოკატორი (CCB), პლუს თიაზიდური/თიაზიდის მსგავსი დიურეტიკი.
- ჯგუფი 2: რეზისტენტული ჰიპერტენზიის მქონე 34 პაციენტი, ბისოპროლოლის კარვედილოლით ჩანაცვლებით მიმდინარე სამმაგი

თერაპიის რეჟიმში, მათ შორის აგფ ინჰიბიტორი/ანგიოტენზინის რეცეპტორების ბლოკატორი, თიაზიდური/თიაზიდის მსგავსი დიურეტიკი და ბისოპროლოლი, კალციუმის არხების ბლოკატორების აუტანლობის მქონე პაციენტები (იხ. სურათი 1)

სურათი 1:

კვლევის ჯგუფები: კარვედილოლის თერაპიის ორი ჯგუფი სამმაგი თერაპიის მქონე პაციენტებში.



პირველადი საბოლოო წერტილი განისაზღვრა: სახლის საშუალო სისტოლური და დიასტოლური არტერიული წნევის ცვლილება კარვედილოლის დაწყებიდან 6 კვირის შემდეგ (45 ± 15 დღე) პაციენტთა ორივე ჯგუფში; ჯგუფი 1: რეზისტენტული ჰიპერტენზიის მქონე პაციენტები, კარვედილოლის დამატებით მიმდინარე სამმაგ თერაპიაზე; აგფ ინჰიბიტორი/ანგიოტენზინის რეცეპტორების ბლოკატორი, პლუს კალციუმის არხების ბლოკატორი (CCB), პლუს თიაზიდური/თიაზიდის მსგავსი დიურეტიკი და ჯგუფი 2: რეზისტენტული ჰიპერტენზიის მქონე პაციენტები, ბისოპროლოლის კარვედილოლით ჩანაცვლებით მიმდინარე სამმაგი თერაპიის რეჟიმში, მათ შორის აგფ ინჰიბიტორი/ანგიოტენზინის რეცეპტორების ბლოკატორი, თიაზიდური/თიაზიდის მსგავსი დიურეტიკი და ბისოპროლოლი, კალციუმის არხების ბლოკატორების აუტანლობის მქონე პაციენტები


მეორადი საბოლოო წერტილები მოიცავდა კარვედილოლის მიღების დაწყებიდან 6 კვირის შემდეგ, საშუალო სისტოლური არტერიული წნევა და

გულისცემის სიხშირე ქვეჯგუფებში, სქესის და გლიკემიური პროფილის დარღვევის მიხედვით, ასევე უსაფრთხოების პარამეტრებს (ჰიპოტენზია, ბრადიკარდია).

სკრინინგის ვიზიტის დროს შეგროვდა ყველა საჭირო დემოგრაფიული მახასიათებელი და შესაბამისი ინფორმაცია, ჩატარდა 24-საათიანი ამბულატორიული არტერიული წნევის მონიტორინგი (ABPM) და ძირითადი ლაბორატორიული ტესტები. სახლის არტერიული წნევის მონიტორინგი ჩატარდა 6-კვირიანი დაკვირვების პერიოდში, ყოველკვირეული ანგარიშებით (იხ. კვლევის დიზაინი, სურათი 2).

სურათი 2:

კვლევის დიზაინისა და ჯგუფებში განაწილების სქემა.



3.2. კვლევის ეთიკური საკითხები

კვლევის პროტოკოლი განხილული და დამტკიცებული იქნა შპს თბილისის გულის ცენტრის ეთიკური კომიტეტების მიერ (თბილისი, საქართველო). კომისიამ განიხილა პროექტი და დაასკვნა, რომ კვლევის პროტოკოლის მიხედვით საკვლევი პირების უფლებები და კეთილდღეობა ადეკვატურადაა დაცული. კვლევაში ჩართულ პირებს მიეწოდებოდათ სრული ინფორმაცია კვლევის შესახებ. ყველა საკვლევი პირი აწერდა ხელს წერილობით ინფორმირებულ თანხმობას კვლევაში ჩართვასთან დაკავშირებით.

3.3. სტატისტიკური ანალიზი

კვლევის შედეგების დასამუშავებლად გამოყენებული იქნა არაპარამეტრული Mann-Whitney U ტესტი დამოუკიდებელი ნიმუშებისთვის, აღწერილობითი სტატისტიკა, პირსონის კორელაცია, ANOVA ტესტი, Z-ქულები და B კოეფიციენტები IBM SPSS Statistics პროგრამული უზრუნველყოფის ვერსია 26.0 (IBM Corp., Armonk, NY, USA) გამოყენებით. სტატისტიკური მნიშვნელობა მიღებული იქნა როგორც 2-tailed $p < 0.05$.

■ 4. კვლევის შედეგები:

კვლევაში ჩართული იყო 71 პაციენტი, რომლებიც იმყოფებოდნენ სამმაგ ანტიჰიპერტენზიულ თერაპიაზე და რომელთაც გამოუვლინდათ რეზისტენტული ჰიპერტენზია 24 საათიანი ამბულატორიული არტერიული წნევის მონიტორინგის ჩატარების შემდეგ. კვლევიდან არცერთი პაციენტი არ გამოთიშულა, შესაბამისად კვლევა დაასრულა ყველა ჩართულმა 71 პაციენტმა. კვლევის დასრულების შემდეგ მოხდა შეგროვებული მონაცემების დეტალური ანალიზი (იხ. თავი 4.1 მიღებული შედეგების განხილვა).

პირველ რიგში ჩატარდა კვლევის პოპულაციის საწყისი მახასიათებლების შედარება ჯგუფებს შორის, სადაც დადასტურდა თანასწორობა საწყის მახასიათებლებს და არტერიული წნევის და გულისცემის სიხშირეს შორის (იხ. ცხრილი 1).

ჩატარდა საწყისი სისტოლური და დიასტოლური არტერიული წნევის საშუალო მონაცემების შედარება კარვედილოლის დაწყებამდე და შემდეგ მკურნალობიდან 6 კვირის შემდეგ, აღნიშნული შედარება მოხდა ცალცალკე ორივე ჯგუფში, როგორც ჯგუფი-1-ში (კარვედილოლის დამატების), ასევე ჯგუფი-2-ში (ბისოპროლოლის კარვედილოლით ჩანაცვლება).

უნდა აღინიშნოს, რომ ორივე ჯგუფში კარვედილოლის ეფექტები, როგორც სისტოლურ, ისე დიასტოლურ არტერიულ წნევაზე იყო მძლავრი და თანაბარი იყო.

კარვედილოლის დამატებამ დაამტკიცა კვლევის ერთერთი ჰიპოთეზა, მან მიაღწია სისტოლური არტერიული (> 10 mmHg დაწევის) და დიასტოლური არტერიული წნევის (> 5 mmHg) კლინიკურად მნიშვნელოვანი რედუქცია ჯგუფ-1-ში. კვლევის მეორე ჰიპოთეზაც დამტკიცდა და ბისოპროლოლის კარვედილოლით ჩანაცვლებამ მეორე ჯგუფის საკვლევ პოპულაციაში გამოიწვია კლინიკურად მნიშვნელოვანი რედუქცია და კარვედილოლის ეფექტი უფრო მძლავრი იყო ვიდრე ბისოპროლოლის (იხ. ცხრილი 2).

მეორადი საბოლოო წერტილების შესაფასებლად, ჩატარდა საშუალო სისტოლური და დიასტოლური არტერიული წნევის და გულისცემის სიხშირის ანალიზი სხვადასხვა ქვეჯგუფებში, კარვედილოლის მიღებიდან 6 კვირის შემდეგ, სქესის და გლიკემიური

პროფილის დარღვევის მიხედვით (იხ. ცხრილი 3). უნდა აღინიშნოს, რომ არცერთ შემთხვევაში არ დაფიქსირებულა კლინიკურად მნიშვნელოვანი ჰიპოტენზიის ან ბრადიკარდიის ეპიზოდები.

ჩატარებული რეგრესიული ანალიზით არ იყო კორელაცია საწყის ცვლადებსა და კარვედილოლის ჰიპოტენზიურ და გულისცემის დამწევ ეფექტებს შორის, აღნიშნული შედეგები წარმოდგენილია ცხრილი 4-ში.

■ 5. მიღებული შედეგების განხილვა

კვლევის პოპულაციის საწყისი მახასიათებლები:

ცხრილი 1 აჩვენებს შედარებითი ჯგუფების თანასწორობას საწყისი სისტოლური და დიასტოლური არტერიული წნევისა და გულისცემის სიხშირის მხრივ. ასევე არ იყო მნიშვნელოვანი განსხვავებები ასაკში, მამრობითი სქესის წარმომადგენლობაში, მოწევის სტატუსში, სხეულის მასის ინდექსში (BMI), დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების ქოლესტერინის (LDL-C) შრატის დონეში, ჰემოგლობინ A1c (HbA1c) და მაღალი მგრძნობელობის C-რეაქტიული ცილის (hs-CRP) დონეში; გორგლოვანი ფილტრაციის სიჩქარის შეფასებაში (eGFR), მარცხენა პარკუჭის განდევნის ფრაქციაში (LVEF); თანმხლებ დაავადებებში, როგორიცაა ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება (COPD), წინაგულების ფიბრილაცია/თრთოლვის (AF) ისტორია და ინსულტი; საწყისი ფარმაკოთერაპიაში (გარდა კალციუმის არხების ბლოკატორებისა 1 ჯგუფში და ბისოპროლოლისა მე-2 ჯგუფში), რაც აჩვენებს შედარებითი ჯგუფების თანასწორობას.

ცხრილი 1:


პაციენტების საწყისი მახასიათებლები (სისტოლური და დიასტოლური წნევა, გულის შეკუმშვათა სიხშირე, დემოგრაფიული და მედიკამენტური თერაპია) საკვლევ პოპულაციაში

	ჯგუფი 1 (კარგედღის დმატება) N=37	ჯგუფი 2 (კარგედილოლით ჩანაცვლება) N=34	p- value
Baseline SBP (mmHg), M±SD საწყისი ს.ა.წ. (მმ.ვწ.სვ)	144.4 ± 9.44	146.6 ± 11.4	0.377
Baseline DBP (mmHg), M±SD საწყისი დ.ა.წ. (მმ.ვწ.სვ)	82.5 ± 9.62	83.4 ± 9.04	0.687
Baseline HR (beat per min), M±SD - საწყისი გ.შ.ს.	73.6 ± 7.61	77.4 ± 8.99	0.059
Age (years), M±SD - ასაკი (წლ)	59.5 ± 11.4	60.9 ± 13.3	0.643
Male gender, n (%) - მამაკაცი	17 (45.9)	16 (47.1)	0.926
BMI, M±SD - სხეულის მასის ინდექსი	32.7 ± 6.57	30.5 ± 5.36	0.141
LDL-C (mg/dL), M±SD დაბალი სიმკვრივის ქოლესტერინი	110.6 ± 16.2	105.7 ± 16.2	0.211
HbA1c (%), M±SD - გლუკოზულ ჰემოგლობინი	6.27 ± 1.28	6.46 ± 1.60	0.567
Smoking, n (%) - მწეველბა(%)	10 (27)	12 (35)	0.455
eGFR (ml/min/1.73m ²), M±SD გლომერულური ფილტრაციის სიჩქარე	83.1 ± 9.57	83.2 ± 11.1	0.959
LVEF (%), M±SD - განდევნის ფრაქცია (%)	51.7 ± 5.34	52.2 ± 5.19	0.628
hs-CRP (mg/L), M±SD მაღალი მგრზნობელობის-CRP	1.92 ± 0.52	1.79 ± 0.64	0.354
History of AF, n (%) წინაგულთა ფიბრილაციის ანამნეზი	4(11)	2(6)	0.459
History of stroke, n (%) - ანამნეზში ინსულტი(%)	2(5)	3(9)	0.577
COPD GOLD 1 or 2, n (%) ფილტვის ქრონიკულ ობსტრუქციული ბრონქიტი	1 (2.7)	1 (2.9)	0.952
ACEis, n (%) - ა.გ.ფ-ინჰიბიტორი	19 (51.4)	18 (52.9)	0.894
ARBs, n (%) - ა.რ-ბლკერები	18 (48.6)	16 (47.1)	0.894
Thiazide/Thiazide-like diuretics, n (%) თიაზიდური/თიაზიდის მსგავსი დიურეტიკები (%)	37 (100)	34 (100)	1.000
CCBs, n (%) - სისხლს საერთოანალი	37 (100)	0 (0)	0.000
Bisoprolol, n (%) - ბისოპროლოლი(%)	0 (0)	34 (100)	0.000

კარვედილოლის სისტოლური და დიასტოლური არტერიული წნევისა, ასევე გულისცემის დამწვევი ეფექტები ასახულია ცხრილი 2-ში, რომელიც ასახავს საშუალო სახლის სისტოლური და დიასტოლური არტერიული წნევის ცვლილებას მე-6 კვირას კარვედილოლის დაწყების შემდეგ რეზისტენტული ჰიპერტენზიის მქონე პაციენტების ორივე ჯგუფში. სისტოლური არტერიული წნევის და დიასტოლური არტერიული წნევის საშუალო შემცირება კარვედილოლის დამატების შემდეგ სამმაგ თერაპიაზე რენინ-ანგიოტენზინის სისტემის ბლოკირებით (RAS-ბლოკირებით), კალციუმის არხების ბლოკატორით (CCB) და თიაზიდური/თიაზიდის მსგავსი შარდმდენით (ჯგუფი 1) იყო 13.8 ± 6.96 mmHg და 7.49 ± 5.31 mmHg, შესაბამისად. გულისცემის საშუალო შემცირება პაციენტების იმავე ჯგუფში იყო 5.59 ± 8.02 დარტყმა წუთში (იხ. სურათი 3, 4).


სურათი 3:

სისტოლური არტერიული წნევის ცვლილება კარვედილოლის დამატების შემდეგ.



სურათი 4:


დიასტოლური არტერიული წნევის ცვლილება კარვედილოლის დამატების შემდეგ.



სისტოლური და დიასტოლური არტერიული წნევის და გულისცემის საშუალო შემცირება ბისოპროლოლიდან კარვედილოლზე გადასვლის შემდეგ მე-2 ჯგუფის პაციენტებში სამმაგ თერაპიაზე რენინ-ანგიოტენზინის სისტემის ბლოკირებით (RAS-ბლოკირებით), ბეტა-ბლოკერით და თიაზიდური/თიაზიდის მსგავსი შარდმდენით იყო 14.7 ± 9.26 mmHg, 7.79 ± 5.36 mmHg და 8.68 ± 7.74 დარტყმა წუთში, შესაბამისად (იხ. სურათი 5, 6).


სურათი 5:

ბისოპროლოლიდან კარვედილოლზე გადასვლის შემდეგ სისტოლური არტერიული წნევის ცვლილება.



სურათი 6:

ბისოპროლოლიდან კარვედილოლზე გადასვლის შემდეგ დიასტოლური არტერიული წნევის ცვლილება



კარვედილოლის ჰიპოტენზიური და გულისცემის დამწვევი ეფექტები თანაბარი იყო ორივე ჯგუფში ($p=0.63$ Δ SBP-სთვის, $p=0.809$ Δ DBP-სთვის და $p=0.104$ Δ HR-სთვის).

მიღწეული შედეგი, სავარაუდოდ, განპირობებულია კარვედილოლის ვაზოდილატაციური ეფექტით. კარვედილოლი არის არაკარდიოსელექციური ბეტა-ბლოკერი, რომელიც ტრადიციულ ბეტა-ბლოკატორებთან შედარებით ინარჩუნებს გულის ადეკვატურ განდევნის ფრაქციას. ეს ხდება პერიფერიული ვაზოდილატაციის ფონზე გულის პოსტ-დატვირთვის შემცირების გამო. კარვედილოლი ამცირებს სისხლძარღვთა პერიფერიულ წინააღმდეგობას, რაც ასევე იწვევს არტერიული წნევის დაქვეითებას (Leonetti and Egan, 2012). ეს დამატებითი თვისება განპირობებულია იმით, რომ კარვედილოლი ბლოკავს ალფა-1 ადრენორეცეპტორებს (McTavish, Campoli-Richards, & Sorkin, 1993), (Toda, 2003), (Pedersen and Cockcroft, 2007). თუ მივიღებთ მხედველობაში სხვა მსგავსი კლინიკური სცენარის კვლევის შედეგებს, როგორიცაა PATHWAY-2 კვლევა, რომელიც აკვირდებოდა რეზისტენტული არტერიული ჰიპერტენზიის დროს ბეტა-ბლოკერ ბისოპროლოლის დამატების ეფექტს სისტოლურ არტერიულ წნევის რედუქციაზე, კვლევამ აჩვენა, რომ ბისოპროლოლის დამატებით მიღებულ სისტოლური არტერიული წნევის რედუქცია მოხერხდა მხოლოდ -8.3 mmHg-ით, რაც გაცილებით დაბალი მაჩვენებელია ჩვენ კვლევაში არსებულ სისტოლური არტერიული წნევის რედუქციასთან მიმართებაში (-13.8 ± 6.96 mmHg). ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ კარვედილოლი სავსებით შესაძლოა უფრო ეფექტური იყოს, ვიდრე ბისოპროლოლი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ აღნიშნული კვლევა კარვედილოლზე აკვირდებოდა არამარტო სისტოლურ არამედ დიასტოლურ წნევის ცვლილებებსაც, რაც არ იყო გამოკვლეული ზემოთ მოყვანილ ანალოგიურ კვლევაში..

კვლევის ერთერთი ჰიპოთეზა იყო სისტოლური არტერიული წნევის 10 მმ.ვწ.სვ-ზე მეტად დაქვეითების შესაძლებლობა კარვედილოლის დამატების შემდეგ. აღნიშნული ციფრი მოტანილია ზოგადად კლინიკური პრაქტიკის საუკეთესო მაგალითებით და აგრეთვე ზემოთ ხსენებული კვლევის PATHWAY 2-ის შედეგების გათვალისწინებით, რომელიც ეხებოდა მსგავსი კლინიკური სცენარის რეზისტენტული ჰიპერტენზიის მქონე პაციენტებს.

PATHWAY-2 კვლევაში ბისოპროლოლმა შეამცირა არტერიული წნევა საშუალოდ -8.3 mmHg პლაცებოსთან შედარებით (-3.4 mmHg), თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ იგი იგივე კვლევაში სპირინოლაქტონის ჯგუფში არტერიული წნევა უკეთესად შემცირდა ბისოპროლოლთან შედარებით, კერძოდ, სპირინოლაქტონმა შეამცირა სახლის სისტოლური არტერიული წნევა 6.48 mmHg-ით უფრო ეფექტურად ვიდრე ბისოპროლოლმა. შესაბამისად ჩვენი კვლევის შედეგებით შეიძლება ითქვას, რომ კარვედილოლი უფრო უკეთ აკონტროლებს არტერიულ წნევას ვიდრე ბისოპროლოლი.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს PATHWAY-2 კვლევისგან განსხვავებით, რომელიც ფოკუსირებული ბეტა-ბლოკერ ბისოპროლოლის გავლენაზე მხოლოდ სისტოლურ არტერიულ წნევაზე, აღნიშნული კვლევა მოიცავდა არა მხოლოდ სისტოლური, არამედ დიასტოლური არტერიული წნევის შეფასებებსაც, რის საფუძველზეც კვლევის ჰიპოთეზაში მოიაზრებოდა დიასტოლური არტერიული წნევის რედუქციის შესაძლებლობა 5 მმ.ვწყ.სვ-სა, რაც მკვლევარების აზრით წარმოადგენს კლინიკურად მნიშვნელოვან ციფრს, საუკეთესო კლინიკური პრაქტიკიდან და საერთაშორისო რეკომენდაციებიდან გამომდინარე.

კვლევის ინიცირების ფაზაში პაციენტები, რომლებიც იღებდნენ 3 სხვადასხვა ჯგუფის ანტიჰიპერტენზიულ მედიკამენტებს *(მათ შორის თიაზიდურ ან თიაზიდის მსგავსს დიურეტიკს), არასამიზნე არტერიული წნევის არსებობის და ციფრების დადგენა ხდებოდა 24 საათიანი ამბულატორიული წნევის მონიტორინგის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფდა არტერიული წნევის (სისტოლური და დიასტოლური) უფრო დეტალური ანალიზის საშუალებას პაციენტების სკრინინგის ფაზაზე, განსხვავებით PATHWAY-2 კვლევისგან, რომელიც ეყრდნობოდა მხოლოდ სახლის არტერიული წნევის გაზომვებს. გარდა ამისა, ჩვენი კვლევა მოიცავდა პაციენტთა კოჰორტას რეზისტენტული ჰიპერტენზიით, რომლებიც ვერ იტანდნენ კალციუმის არხების ბლოკატორებს (CCB), რაც წარმოადგენს დიდ გამოწვევას არტერიული ჰიპერტენზიის მკურნალობის პროცესში (Zanchetti, 2003). კალციუმის არხების ბლოკატორებზე აუტანლობის მქონე პაციენტების კოჰორტა ხშირად არ არის

ცალკე შესწავლილი და ამ კონკრეტული ტიპის პაციენტებში რეზისტენტული ჰიპერტენზიის კვლევები და მტკიცებულებები პრაქტიკულად არ არსებობს.

